

სიცოცხლის მეტაფორიკა გერმანულ იდიომებში

მოდებაძე ცისანა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: კვლევის მიზანია სიცოცხლის მეტაფორიკის დადგენა გერმანულ იდიომებში. გერმანული სიტყვა *das Leben* ქართულად ნიშნავს, სიცოცხლეს/ცხოვრებას ანუ გერმანულად ეს ორი მცნება ერთი სიტყვით გადმოიცემა და შინაარსობრივად ერთმანეთისგან განუყოფელია.

კვლევის ამოცანას წარმოადგენს სიცოცხლის/ცხოვრების კონცეპტთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების დადებითი და უარყოფითი კონოტაციის დადგენა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად ლექსიკონებში მოვიძიეთ ფრაზეოლოგიზმები და მოვახდინეთ მათი კლასიფიკაცია მეტაფორიზაციის მიხედვით.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, გერმანულ იდიომებში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება წელიწადის დროების აღმნიშვნელი ლექსემები. აღსანიშნავია, რომ წელიწადის დროების სახელების შემცველი იდიომები მეტაფორულად შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სიცოცხლის ციკლი: დაბადებიდან გარდაცვალებამდე. ახალგაზრდობის წლებს განასახიერებს გაზაფხული (*Der Frühling des Lebens-ცხოვრების გაზაფხული*), სიბერისას კი შემოდგომა (*Der Herbst des Lebens-ცხოვრების შემოდგომა*). სიცოცხლე მეტაფორულად შეიძლება განასახიერებდეს ერთ დღესაც. *Leben ist ein Tag*-სიცოცხლე ერთი დღეა. ეს ფრაზეოლოგიზმი მიუთითებს სიცოცხლის ხანმოკლეობაზე. მეტაფორული კომპოზიტი *Lebensabend*-სიცოცხლის სადამო აღნიშნავს სიბერეს და მეტაფორულად განასახიერებს ცხოვრების წარმავლობას. იდიომში *sein letztes Stündlein hat geschlagen*-მისმა უკანასკნელმა საათმა დარეკა განსაკუთრებით კარგად ჩანს სიცოცხლის ხანმოკლეობა.

ადამიანის სიცოცხლის მეტაფორიზაცია ხდება ასევე: მცენარის სიცოცხლესთან, მოგზაურობასთან, გზასთან, საკვებთან, ბრძოლასთან, სითხესთან და ჭურჭელთან.

ამრიგად, ცხოვრება არის დადებითი და უარყოფითი მომენტების მონაცვლეობა. დადებითი მომენტები ხშირად სინათლესთან და მზესთანაა შედარებული, უარყოფითი კი ჩრდილთან, სიბნელესთან, ღამესთან. ამ შემთხვევაში მეტაფორიზაცია ხდება ჩრდილის საშუალებით. აქედან გამომდინარე, ადამიანის სიცოცხლე მეტაფორულად განასახიერებს სინათლისა და სიბნელის, მზისა და ჩრდილის, ნათელისა და ბნელის მონაცვლეობას.

საკვანძო სიტყვები: ფრაზეოლოგიზმები, სიცოცხლე/ცხოვრება, მეტაფორიკა, კლასიფიკაცია, დადებითი, უარყოფითი

კვლევის მიზანია სიცოცხლის მეტაფორიკის დადგენა გერმანულ იდიომებში.

გერმანული სიტყვა *das Leben* ქართულად ნიშნავს, სიცოცხლეს/ცხოვრებას ანუ გერმანულად ეს ორი მცნება ერთი სიტყვით გადმოიცემა და შინაარსობრივად ერთმანეთისგან განუყოფელია.

მეტაფორა (ბერძნ. *Metaphora*-გადატანა) არის ტროპის ერთ-ერთი ძირითადი სახე. ზიგფრიდ შიედერის (*Schieder, S. 2006*) აზრით, მეტაფორის დახმარებით ყველაზე ზუსტად შეიძლება სინამდვილის აღწერა.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, გერმანულ იდიომებში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება წელიწადის დროების აღმნიშვნელი ლექსემები. აღსანიშნავია, რომ წელიწადის დროების სახელების შემცველი იდიომები მეტაფორულად შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სიცოცხლის ციკლი: დაბადებიდან გარდაცვალებამდე. სიცოცხლე დაბადებიდან გარდაცვალებამდე შეიძლება მეტაფორულად წელიწადის დროებით გამოიხატოს: *Leben ist ein Jahr*. გერმანულ ენაში ამ იდიომის სხვადასხვა ინტერპრეტაცია არსებობს. ახალგაზრდობის წლებს განასახიერებს გაზაფხული, სიბერისას კი შემოდგომა. *Der Frühling des Lebens*. ანალოგიური შინაარსისაა: *Der Frühling seines Lebens*. ეს იდიომი აღმატებული შინაარსისაა, იხმარება სიკვდილის კონტექსტში და ხშირად გვხვდება ნეკროლოგებში. მაგალითად, „**Im Frühling meines Lebens** ereilte mich der Tod.“

სიცოცხლე მეტაფორულად შეიძლება განასახიერებდეს ერთ დღეს: *Leben ist ein Tag*-სიცოცხლე ერთი დღეა. ეს ფრაზეოლოგიზმი მიუთითებს სიცოცხლის ხანმოკლეობაზე. მეტაფორული კომპოზიტი *Lebensabend*-სიცოცხლის სადამო აღნიშნავს სიბერეს და მეტაფორულად განასახიერებს ცხოვრების წარმავლობას. იდიომში *sein letztes Stündlein hat geschlagen*-მისმა უკანასკნელმა საათმა დარეკა განსაკუთრებით კარგად ჩანს სიცოცხლის ხანმოკლეობა.

იდიომი *einen neuen/zweiten Frühling erleben* ნიშნავს სიბერეში კიდევ ერთხელ შეყვარებას. ვინაიდან სიცოცხლე და კარიერა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, ეს იდიომი შესაძლებელია სხვა მნიშვნელობითაც იქნას ნახმარი, კერძოდ იმ შემთხვევაში, როცა ადამიანი ისევ აქტიური და წარმატებული ხდება. მაგალითად როდესაც ადამიანი სპორტში, პოლიტიკაში, მუსიკაში წარმატებულია, შემდეგ დროის რაღაც მონაკვეთში პასიური ხდება და შემდეგ ისევ აქტიურდება. ამ შემთხვევაში ეს იდიომი ნიშნავს ხელახლა დაწყებას (იშვიათად სიბერეში სიყვარული, ხშირად კარიერაში). როგორც ვხედავთ, სიცოცხლის მეტაფორული კონცეპტუალიზაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული კარიერის კონცეპტუალიზაციასთან.

ადამიანის ცხოვრებაში ხდება დადებითი და უარყოფითი მომენტების მონაცვლეობა. ამდენად დადებითი მომენტები ხშირად სინათლესთან და მზესთანაა შედარებული, უარყოფითი კი ჩრდილთან, სიბნელესთან, ღამესთან. იდიომი *Sonnenseite des Lebens* გამოხატავს სიცოცხლის დადებით მომენტებს. ამ შემთხვევაში მეტაფორიზაცია ხდება მზის საშუალებით. იდიომი *Schattenseite des Lebens* გამოხატავს სიცოცხლის ცუდ მონაკვეთს. ამ შემთხვევაში მეტაფორიზაცია ხდება ჩრდილის საშუალებით. აქედან გამომდინარე, ადამიანის სიცოცხლე მეტაფორულად განასახიერებს სინათლისა და სიბნელის, მზისა და ჩრდილის, ნათელისა და ბნელის მონაცვლეობას.

ადამიანის სიცოცხლე შეიძლება შევადაროთ მცენარის სიცოცხლეს: *Menschliches*

Leben ist pflanzliches Leben-ადამიანის სიცოცხლე მცენარის სიცოცხლეა. რადგან მზე და ჩრდილი მცენარის სიცოცხლეშიც დიდ როლს თამაშობს. იმისთვის, რომ მცენარე აღმოცენდეს, კარგად გაიზარდოს, დიდხანს იცოცხლოს და ნაყოფი მოგვეცეს, ჭირდება მზე. მცენარე მზის გულზე უფრო კარგად ვითარდება, ვიდრე ჩრდილში. Positives Leben ist Licht-დადებითი ცხოვრება არის სინათლე, Negatives Leben ist Dunkelheit-ნეგატიური ცხოვრება არის სიბნელე.

ein Schattendasein fristen/führen ნიშნავს, რომ ადამიანი ნაკლებად ყურადღება მისაქცევ ცხოვრებას ეწევა ანუ ჩრდილში/განზე დგას.

blühendes Leben მეტაფორულად გამოხატავს ახალგაზრდობის წლებს

wie das blühende Leben aussehen -ჯანმრთელად და ძლიერად გამოიყურება

in der Blüte seiner Jahre- სიცოცხლის ყველაზე პროდუქტიული, ატიური და ლამაზი წლები

ამ იდიომებში მზისა და ჩრდილის საშუალებით ხდება სიცოცხლის მეტაფორული კონცეპტუალიზაცია.

ხშირად სიცოცხლე მეტაფორულად შედარებულია მოგზაურობასთან:

Leben ist eine Reise-სიცოცხლე მოგზაურობაა.

Leben ist eine Reise durch die Zeit- სიცოცხლე/ცხოვრება დროში მოგზაურობაა.

Zeit meines, deines usw. Lebens- მთელი ცხოვრება

ხშირად სიცოცხლის მეტაფორული კონცეპტუალიზაცია ხდება გზასთან: das Leben ist ein Weg-სიცოცხლე გზაა. dorniger Weg-ეკლიანი გზა მეტაფორულად გამოხატავს რთულ სიცოცხლეს/ცხოვრებას.

jmds. Leben verläuft in geregelten Bahnen- ცხოვრება მოწესრიგებული გზით მიდის ანუ ცხოვრება უმართლებს. Bahn-რკინიგზა ამ შემთხვევაში მეტაფორულად შეესაბამება წესრიგს, მშვიდობას.

auf die schiefe Bahn geraten/kommen- ამორალური, კრიმინალური ცხოვრების დაწყება seinen Weg machen -წინსვლის და წარმატებების ქონა

seinen/ihren Weg gehen- თავისი ცხოვრების საკუთარი აზრის მიხედვით მოწყობა.

am Kreuzweg stehen- მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების წინაშე დგომა

aus dem Gleis werfen/ kommen/ bringen/ springen/ geraten- ჩვეული წესრიგის დაკარგვა/ცხოვრების წესიდან გადახვევა

auf dem Pfad der Tugend wandeln - სათნო ცხოვრებას ეწევა

auf den steilen Pfad der Tugend zurückkehren-უზრუნველ, უპასუხისმგებლო ცხოვრებას ეწევა.

nicht auf Rosen gebettet sein-იოლი ცხოვრება არ ქონია/მწარე სიცოცხლის/ცხოვრების ქონა

ადამიანს საკვების გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია, რასაც მეტაფორულად აღნიშნავს იდიომი: Leben ist Speise- სიცოცხლე/ცხოვრება საკვებია.

jmdm. das Leben sauer machen-ვინმესთვის ცხოვრების გამწარება

das süße Leben-ტკბილი სიცოცხლე

Leben ist Spiel- სიცოცხლე თამაშია

Leben ist Glückspiel- სიცოცხლე/ცხოვრება ლატარიაა

mit dem/seinem Leben spielen-საშიშ რისკზე წასვლა

sein Leben aufs Spiel setzen- გაცნობიერებულად საშიში რამის გაკეთება.

ცხოვრებისეული სიძნელეები ხშირად მეტაფორულად ბრძოლასთან არის კავშირში:
Leben ist Kampf

Leben ist Behälter-ცხოვრება კონტეინერია

ein erfülltes Leben - კმაყოფილი/ახდენილი ცხოვრება

ein unerfülltes Leben/ ein unausgefülltes Leben -უკმაყოფილო/ახდენელი ცხოვრება

sich unausgefüllt fühlen / unausgefüllt sein- უკმაყოფილოდ გრძნობს

თავს/უკმაყოფილოა

jemand/etwas ist der Inhalt jemandes Lebens -ვილაცის ცხოვრების აზრია

seinem Leben mit etwas einen Inhalt geben, verleihen-თავისი სიცოცხლისთვის

რალაცით აზრის მიცემა.

ein inhaltsloses Leben führen-უშინაარსო ცხოვრებას ეწევა

ცხოვრება მეტაფორულად შეიძლება გამოიხატოს სიტხით. Quelle des Lebens-

სიცოცხლის წყარო

ცხოვრება სწავლაა: Leben ist Lernen. ცხოვრება მეტაფორულად ხშირად სკოლასთან

ასოცირდება: Das Leben ist eine Schule-სიცოცხლე/ცხოვრება სკოლაა.

er ist in eine harte Schule gegangen, hat eine harte Schule durchgemacht-მაგარი სკოლა აქვს
გავლილი.

alle Schulen durchgemacht haben - ბევრი ცხოვრებისეული გამოცდილების (კარგის და
ავის) ქონა.

სიცოცხლე/ცხოვრება მეტაფორულად გამოხატავს ჭურჭელს:

erfülltes Leben-სავსე/დატვირთული ცხოვრება

leeres Leben-ცარიელი/უსაქმური ცხოვრება

das Leben bis zu des Bechers Neige genießen-ცხოვრების ბოლომდე დატკობა

Das Leben ist ein Abenteuer-სიცოცხლე/ცხოვრება თავგადასავალია.

Das Leben ist Last-სიცოცხლე/ცხოვრება ტვირთია

Das Leben ist ein Schauspiel-ცხოვრება თეატრია

ამრიგად, როგორც კვლევამ გვიჩვენა, წელიწადის დროების აღმნიშვნელი
ლექსემები ხშირად გვხვდება გერმანულ იდიომებში. წელიწადის დროების სახელების
შემცველი იდიომები მეტაფორულად შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც
სიცოცხლის ციკლი: დაბადებიდან გარდაცვალებამდე.

სიცოცხლე მეტაფორულად შეიძლება განასახიერებდეს ერთ დღეს.

ადამიანის სიცოცხლე მეტაფორულად განასახიერებს სინათლისა და სიბნელის, მზისა
და ჩრდილის, ნათელისა და ბნელის მონაცვლეობას. მზისა და ჩრდილის საშუალებით
ხდება სიცოცხლის მეტაფორული კონცეპტუალიზაცია.

ადამიანის სიცოცხლე მეტაფორიზაცია ხდება: მცენარის სიცოცხლესთან,
მოგზაურობასთან, გზასთან, საკვებთან, ბრძოლასთან, სიტხესთან და ჭურჭელთან.

ლიტერატურა:

1.გამრეკელი, ნ., ჰოფმანი, თ. ქადაგიძე, ნ. (1973): გერმანულ-ქართულ-რუსული
ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. თბილისი. განათლება.

2. ზეკალაშვილი, რ. ქორია, ჯ. (2007): გერმანულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი: საქართველოს მაცნე.
3. Götz D. u. a.: (2008) Drowörterbuch Deutsch als Fremdsprache; Langenscheidt-Berlin- München - Wien -Zürich -New York
4. Duden (Deutsches Universalwörterbuch) (5. überarbeitete Aufgabe) (2003). Dudenverlag, Mannheim. Leipzig. Wien. Zürich.
5. Duden (2008): Wörterbuch der deutschen Idiomatik. 3., Mannheim: Dudenverlag.
6. Fleischer W. (1997): Phraseologie der deutschen Gegenwartssprache. Tübingen: Max Niemeyer
7. Schieder, S. (2006): Die gestaltende Kraft von Sprachbildern und Metaphern. Trier: Universität Trier

Metaphors of Life in German Idioms

Modebadze Tsisana

Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

The aim of the study is to define the metaphoric meaning of the concept ‘life’ in the German idioms. The German word *das Leben* means both to live and life in Georgian. It means German does not differentiate them.

Our task is to define the positive and the negative connotations of idioms containing the concept of life/ live. To solve this task, we searched for the relevant phraseologisms in the dictionaries and classified them.

The study has revealed that lexemes denoting seasons prevail in such idioms. In a metaphoric sense, we can show these idioms as a whole life cycle: from cradle to grave. The lexeme *spring* stands for youth years (*Der Frühling des Lebens*-the spring of life), while the lexeme *autumn* stands for the old age (*Der Herbst des Lebens*- the autumn of life). In the same figurative sense, the lexeme *Leben* may refer to one day only. For instance, *Leben ist ein Tag* – Life is one day. This phraseologism shows the brevity of life. Metaphorical compound *Lebensabend* means the evening of life, that is the old age. The brevity of life is also reflected in the idiom *sein letztes Stündlein hat geschlagen*- ‘his last hour struck’, meaning, his life came to an end.

Metaphorisation of human’s life is also common with the following lexemes: plants, travel, road, food, struggle, liquid and vessel.

Thus, life is alternation of positive and negative moments. The former are often compared to light and the sun, while the latter - to shade, darkness and night. Proceeding from this life is a regular alteration of light and darkness, the sun and shade, light and dark.

Key words: phraseologisms, life/live. Metaphoric, classification, positive, negative